

**განგება**  
**ღირსისა მამისა ჩუქუნისა**  
**გრიგოლ ხანძთელისა**  
არქიმანდრიტისა უდაბნოთა კლარჯეთისათა და  
აღმაშენებელისა ხანძთისა და შატბერდისა  
თუესა ოქტომბრის 5-სა

**დიდ მწუხარსა ზედა**

ვჰგალობთ ნეტარ-არს კაცსა, I აღსავალსა.  
უფალო ღალად-გყავსა ზედა დასდებელი,  
მუხლი 8. ქმა 5.

**ღირსისა გრიგოლისა.**

ღმერთშემოსილო მამაო, ნეტარო გრიგოლ, ანგელოზთა თანამზრახუალო და თანამყოფო და თანაზიარო წინამსწარმეტყუელთა, წმიდათა მოციქულთა და მოწამეთა და თანამკედონ ნათელსა წარუალსა, რომელი პნათობ ბრწყინვალებითა საღმრთოეთა, რამეთუ წინაშე მისსა ჰსდგა განბრწყინვებული მადლითა კადნიერად და ყოვლადვე ხედავ მისსა მას დიდებასა და მარადის იშუებ მისთა მით სიკეთითა, ქრისტესა ევედრე, ქრისტეს მიმართ მეოხ-გუეყავ, გარდამოვლინებად ეკლესიათა ერთობად, მშკდობად და დიდი წყალობად.

ღმერთშემოსილო მამაო, ნეტარო გრიგოლ, ვარსკულავო უდაბნოესაო, ბრწყინვალებაო საღმრთოეთა სიყუარულისაო და განმანათლებელო მონაზონთაო, სუეტო შეურეველო მოთმინებისაო, სიმტკიცეო და ძელო ეკლესიისაო, ლამპარო ყოვლადბრწყინვალეო და მნათობო ყოვლისა სოფლისაო, სათნოებათა საუჯვეო, რომელმან ქალაქ-ჰემენ უქმი უდაბნოდ და ვითარცა სამოთხეს ესე გამოაჩინე, ქრისტესა ევედრე, ქრისტეს მიმართ მეოხ-გუეყავ, გარდამოვლინებად ეკლესიათა ერთობად, მშკდობად და დიდი წყალობად.

ღმერთშემოსილო მამაო, ნეტარო გრიგოლ, სიქადულო მონაზონთაო და სიმტკიცეო მართლისა სარწმუნოებისაო, სამებისა წმიდისა გამორჩეულო მსახურო, მოდასეო ანგელოზთაო, ქუეყანით ზეცად ამაღლებულო მონაზონთა წინამძღუარობითა, სასუეფელსა დამკუდრებელო, ანგელოზებრივ გალობითა ზეცისა მოქალაქეო, წმიდათა თანა გურგუნოსნებითა ნათელსა შინა ღმრთისა ხედვითა განპბრწყინვებულო და წმიდითა ლოცვითა შენითა მეოხო ყოველთა პატივისმცემელთა შენთაო, ქრისტესა ევედრე, ქრისტეს მიმართ მეოხ-გუეყავ, გარდამოვლინებად ეკლესიათა ერთობად, მშკდობად და დიდი წყალობად.

ღმერთშემოსილო მამაო, ნეტარო გრიგოლ, ანგელოზთა თანა შეერთებულო ტაძრო საიდუმლოთაო, უფსკრულო გულისქმისყოფისაო, მხილველო გამოუთქმელთაო, მამაო მამათაო, თავო მონაზონთაო და წინამძღუარო განმორჩებულთაო, რომელი წინაშე ყოვლადწმიდისა სამებისა იხარებ მრავლითა ბრწყინვალებითა განათლებული და შემწე ხარ მვედრებელთა შენთათჯეს, ქრისტესა ევედრე, ქრისტეს მიმართ მეოხ-გუეყავ, გარდამოვლინებად ეკლესიათა ერთობად, მშკდობად და დიდი წყალობად.

**სხუად დასდებელი ქმა 2**

ეპა გურგუნნო

ვითარიმე ქებისა გურგუნი შეუთხზნათ ქრისტეს ეკლესიისა სიმტკიცესა და ყოველთა განმაბრწყინვებულსა სწავლითა, ქელმწიფეთა თვალუხუავად მამხილებულსა და ყოველთა შუამდგომელსა და შემწესა, ყოველთა ჭირვეულთა ნუგეშინისმცემელსა და ყოველთა განსაცდელსა შინა მყოფთა შესავედრებელსა, კეთილმსახურებისა სუეტსა, მორწმუნეთა წინამძრძოლსა, ყოვლადქებულსა გრიგოლს, რომლისა მიერ აღძრვანი მტერთანი ქრისტემან დამსუნა, რომელსა აქუს დიდი წყალობად.

**2-გზის**

ვითარითა ქებისა საგალობელითა უგალობდეთ შეგავსად ღმრთივბრწყინვალისა ვარსკულავისა უდაბნოსა შინა დამკვირებითა განბრწყინვებულსა, და ნერგსა სამოთხისასა, ნაყოფისა კეთილისა გამომღებელსა, დიდსა შემწესა და მოძღუარსა, ყოველთა უკეთურთა და უდებთა მარცხუნელსა, რომლისათვისცა აღმრვანი მათნი ქრისტემან დამზუნა, რომელსა აქუს დიდი წყალობა.

ვითარითა ქებისა გალობითა უგალობდეთ უკლესისა შემაკობელსა და მწყემსისა და მოძღუარსა ივერიელთასა, რომელი მსგავსად შზისა გამოუჩნდა ერსა ჩუენსა და განსწავლიდა ღმრთისა და მამულისა სიყუარულითა, რომლისათვისცა მისსა მიმართ დაგვას სასოებად ჩუენი, რამთა ერთობითა სარწმუნოებისათა და სიყუარულითა აღვარებდეთ, ვითარცა წინამდგვარსა და სიმტკიცესა ერისა ჩუენისასა, რომელსა აქუს დიდი წყალობა.

### **დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.**

აწ განსცხრებოდეთ დღესასწაულის მოყუარენო, და ქებითა გალობისამთა უგალობდეთ და შევასხმიდეთ, მღღელთა სიქაღულსა და ზანძთისა დიდებასა, წყაროსა საკურველებათასა და მორწმუნეთა დიდსა მეოხსა და შუამდგომელსა: გიხაროდენ, კლარჯეთისა სავანეთა მცველო მიურულებელო და უქმთა უდაბნოთა ქალაქმყოფელო, გიხაროდენ, სასანთლეო ყოვლადბრწყინვალეო, რომელმან კიდენი სოფლისანი საკურველებითა განაათლენ, გიხაროდენ ჭირვეულთა საღმრთოო სიხარულო და განსაცდელთა შინა მყოფთა მურვალეო შუამდგომელო, ღირსო და საკურველომოქედო მამაო გრიგოლ, დაუცხრომელად ევედრე ქრისტესა ღმერთსა, რომელი სარწმუნოებითა და სიყუარულით პატივს-გსცემთ მარადის სახარულევინსა და ყოვლადსანატრელსა ქსენებასა შენსა.

### **აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

ვინ არა გნატრიდეს შენ ყოვლადწმიდაო ქალწულო, ვინ არა უგალობდეს უხრწენელსა შობასა შენსა, რამეთუ რომელი იგი უჟამოდ მამისაგან გამობრწყინდა, ძშ მხოლოდშობილი, იგივე შენგან უბიწოდესა გამოვიდა გამოუთქმელად ქორცშექმული, ღმერთი იყო ბუნებით და ჩუენთვის კაც-იქმნა წყალობით. არა ორებად პირთასა განიკუეთა, არამედ ორითა ბუნებითა შეურევნელად საცნაურ-იქმნა. მას ევედრე, პატიოსანო და ყოვლადსანატრელო, ცხორებისათვის სულთა ჩუენთასა.

### **შესვლად. წარდგომა დღისა საწინაწარმეტყველონი; საკითხავი ღირსისა.**

1. სიბრძნისაგან სოლომონისა საკითხავი. (მართალთა სულნი ზელთა შინა ღმრთისათა...)

2. სიბრძნისაგან სოლომონისა საკითხავი. (მართალნი საუკუნოდ ცხოვნდეს. და უფლისა მიერ...)

წერილ-არს, მარტის 9-ს.

3. სიბრძნისაგან სოლომონისა საკითხავი (მართალი თუ აღესრულოს განსუენებასა შინა...) წერილ-არს მაისის 7-ს.

**ლიტსა ზედა დასდებელი ტამრისა,  
ესრეთ ღირსისა გრიგოლისი. თვით-ხმოვანი.**

### **ქმად 2**

ქუეყანასა ზედა ანგელოზი და ცათა შინა კაცო ღმრთისაო, სოფლისა კეთილად განმამჟვნებელო და სიტკბოებითა სახიერო, მამაო გრიგოლ, გაქებთ შენ, რომელი დაენერგე სახლსა შინა ღმრთისასა და ალყუავდი სიმართლითა, და ვითარცა უდაბნოსა ზედა ნაძვი, ესრტი განამრავლე სამწესო ქრისტესი, ღირსად და სამართლად სიტყურნი ცხოვარნი და მნათობ სოფლისა იქმნ ჭეშმარიტებით.

გამოშჩნდი, მამაო გრიგოლ, მთავრად მონაზონთა და ქალაქმყოფელ უქმთა უდაბნოთა და პკურნებ უძლურებისა ჩუენისა ვნებასა სარწმუნოებით მგალობელთა შენთასა: გიხაროდენ, აღმოსავლეთისა ვარსკულავო ყოვლადბრწყინვალეო, და მოხაზონთა განმანათლებელო ღამპარო და მწყემსო, გიხაროდენ, კეთილმოქმედებითა მმარხველთა სიქაღულო და ყოვლისა სოფლისა სახარულევანო ბრწყინვალებაო, მეოხ-გუეყავ მგალობელთა შენთა.

სამღებულოოთა სამოსელითა შემკობილმან ღმრთივმშენიერად პქადაგე შენ სახარებამ სასუფეველისამ და გალობანი საეკლესიონი აღმოსოქუენ და ეპლესიამ განამდიდრენ მოძღვრებითა საღმრთოოთა, რომლითა აწ განათლებული გადიდებთ კაცსა ზეცისასა და ქუყანისა ანგელოზსა, სოფლისა სამკაულსა და მოღუაწეთა ოუალსა, რომელმან განამრავლენ სამწესოდ ქრისტისი და სიმართლითა და სიწმიდით წინამძღვარ ექმნ მოღუაწეთა, და მეობ-ხარ ღმრთისა მიმართ სულთა ჩუენთათვის.

დაუტევე, წმიდაო, სოფელი და აღიღე ჯუარი, რომლისა მიერ მოქადულ-იყავ შენ, სამ-გზის სანატრელო მამაო, და წინამძღვრებითა სულისა წმიდისამთა და წინამსწარ უწყებითა ღმრთისამთა წარმართენ სლვანი შენი სანახებსა მას კლარჯეთისასა და აღმართენ უდაბნოსა შინა მონასტერნი – ხანძთამ და შატბერდი, საცხონებელად სულთა და საყუდებელად მრავალთა, ხოლო მას შინა შეკრებული მმანი სიმდაბლითა თუსითა მიიწინეს საზომსა შენსა, და განასხმიდენ სულთა უკეთურთა და განკურნებდენ ყოველთა სწელთა და კეთილქებისა გალობითა გიგალობდენ, ვითარცა მწყემსსა დიდსა და ქადაგსა სარწმუნოებისასა.

**დიდებამ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.**

### ქმად 7

კეთილ-მონაო სახიერო და სარწმუნო, კეთილო მუშაკო ქრისტის ვენახისაო, შენ სიმწითა და აქოვნად სიმბიმე დღისამ იტურთე და მოცემული ტალანტი აღაორძინე, რომლისათუკა გონგებუნეს შენ ბჭენი ზეცისანი და შესუედ სიხარულსა უფლისა შენისა სახიერისასა, ხოლო აწ მეობ-გუეყავ მაქებელთა შენთა დაუცხომელად, რამთა ჩუენცა აღძრული საღმრთოოთა სურვილითა, დაუდუმებელად გნატრიდეთ.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

გიხაროდენ, ქალწულო, ღრუბელო და ეტლო სიტყვსაო, გიხაროდენ, უზესთაეს გონგებისა და გარეგან საზღუარისა, წმიდაო ღმრთისა საყოფელო, გიხაროდენ, უქორწინებელო სულითა ზესთა ღმერთთასა მიდგომილო, გიხაროდენ, თუნიერ თესლისა მშობელო, და თუნიერ ხრწინილებისა მაწოვნებელო, გიხაროდენ, მარადის ქალწულო, კურთხეულო.

### სტიქარონსა ზედა დასდებელი. ქმად 8

სიტყვთა და საქმით აღიდე ღმერთი დადებული და მცნებათა მისთა იწურთიდ მარადის, დღისი და ღამით გონებითა წმიდითა, და ვითარცა სუეტი ნათლისამ, ბრწყინვალე ღოვცამ შენი აღიწეოდა ზეცას, სანატრელო მამაო გრიგოლ, გჯთხოვე ქრისტისგან დიდი წყალობად.

**მუხლი. პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკუდილი წმიდათა მისთა.**

მოაკუდინე შენ გულისთქმა და განაცხოველე სიწმიდის, და შეიყუარე წმიდა ქალწულებამ, და ვითარცა ნათელი, შთაიცუ სიწმიდის, და ვითარცა გურიტი სიმშკდით ჰმონებდი ქრისტესა გონებითა უბიწომთა, სანატრელო გრიგოლ, შემჯული საღმრთოოთა გულის ქმის-ყოფითა.

**მუხლი. ხეტარ-არს კაცი, რომელსა ეშინის უფლისა, მცნებათა შინა მისთა ინებოს ფრიად.**

შეგამკო ღმერთმან, ნათლითა სასწაულთამთა და მადლოთა საღმრთოოთა ბრწყინვალებითა, სამ-გზის სანატრელო, და აღავსო სული შენი სიბრძნითა, და ვითარცა წყარო ცხოველი და თუალი დაუწყეუდელი აღმოაცენებ მოძღვრებათა საღმრთოთა, აღორძინებისათუ ქრისტის სამწესოსამთა.

**დიდებამ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.**

სიმრავლის მონაზონთა წინამძღვრად აღგიარებს, ღმერთშემოსილო მამაო გრიგოლ, რამეთუ აღივსებიან საღმრთოოთა მით მადლოთა, რომელ დაუტევე, და იშუებენ საქსენებელსა შენსა, თანამოსაგრეო წმიდათა მამათაო, მათ თანა ევედრე ქრისტესა ღმერთსა, რამთა შეიწყალნეს მან სული ჩუენნი ოხითა შენითა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

უსბოლო ქალწულო, რომელმან ღმერთი მუცლად-იღე გამოუთქმელად, დედაო ღმრთისა მაღლისაო, ვედრებამ მონათა შენთამ შეიწირე, ყოვლადუბიწო, რომელი მისცემ ყოველთა შენდობასა ცოდვათასა, ჩუენიცა ვედრებამ შეიწირე და გჯთხოვე ჩუენ დიდი წყალობამ.

## ტროპარი I

ნიშთა და სასწაულთა მოქმედად გამოგაჩინა შენ ღმერთმან, სანატრელო, და მოგცა ქელმწიფებამ განსკმად სულთა ბოროტთა და ყოველთავე სნეულებათა კურნებად, ღმერთშემოსილი, რომლისათვისცა საღმრთომთა ღიღებითა შენითა ვიქადით და გევედრებით: კლარჯეთის სავანეთა კეთილად განმგებელო მოღუაწეო და უდაბნოთა ქალაქმყოფელო, მამაო გრიგოლ, მეოხ-გუეყავ მოსავათა შენთა და გკაშენ ყოვლისაგან განსაცდელისა ქრისტეანენი.

## ტროპარი II

აღმობრწყინდი ვითარ მთიები ზეცისა სამყაროსა და შეჭურვილმან მაღლითა სულისა წმიდისამთა განაბრწყინვენ სამწყსომ შენი ღმრთისმეცნიერებითა, ღირსო მამაო, და მიიწიე რაო სანახებსა მას კლარჯეთისასა, აღმართენ უდაბნოსა შინა მონასტერნი დიდშუენიერნი სადიდებელად ღმრთისა და საცხონებელად სულთა მრავალთა, მოძღუარო და განმანათლებელო ივერთა ერისაო, ნეტარო გრიგოლ, მეოხ-გუეყავ წინაშე ქრისტეს მეუფისა და გჯოხოვე წყალობამ.

### ცისკრად. ღმერთი უფალსა ზედა

#### ტროპარი ღირსისა. ღიღებამ... იგივე აწდა...

რომელი საუკუნითგან დაფარულ-იყო, და ანგელოზთაგან უცნაურ საიდუმლო, ღმრთისმშობელო, შენ მიერ კაცთა გამოუცხადა, ღმერთი შეურევნელად შენგან განკორციელდა, ჯუარცმად ნებსით თავს იღეა, რომლისათვისცა აღადგინა პირველდაძინებულნი, და იქსნა მან სიკუდილისაგან სულნი ჩუენნი.

#### შემდგომად I ფსალმუნებისა, წარდგომა. ქმად 1

ანგელოზთა მწყობრნი...

ცხორებამ კეთილმსახურებით ქუეყანასა ზედა აღასრულე, და გამოშჩნდი კანონად მონაზონთა და ბრწყინვალე მნათობად ყოვლისა სოფლისა, ღმერთშემოსილო მამაო, და განანათლებ შენდამი მსწრაფლ მოლტოლვილთა, წმიდაო გრიგოლ, აწცა გამოაბრწყინვე გულსა ჩუენსა ნათელი ჭეშმარიტი და მეოხ-გუეყავ მაქებელთა შენთა დაუცხრომელად. 2-გზის

ღიღებამ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

განეცხადების საიდუმლომ საუკუნითგან დაფარული მთავარანგელოზს, მითხრობად ძრწოლით ქალწულისა მიმართ, ხოლო იგი ახარებს ქურთხეულსა დედათა შორის, რომლისა-თანა ვკმობდეთ: გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენ თანა.

#### შემდგომად II ფსალმუნებისა, წარდგომა. ქმად 4

განეცხადე დღეს...

ნათლითა პბრწყინავ შენ მიუახლებელითა, და ვითარცა ვარსკულავი გამობრწყინდი უდაბნოსა შინა კლარჯეთისასა და განამრავლენ სამწყსომ ქრისტესი, ღირსო მამაო, ხოლო ქსენებისა შენისა აღმასრულებელთა ქსნად გჯოხოვე შეცოდებათა, ვითარცა წინაშე ღმრთისა მდგომარემან. 2-გზის

ღიღებამ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ყოველთა შემოქმედი ღმერთი და დამბადებელი, ყოვლადუბიწოო, წმიდაო, საღმრთომთა სულისა მიერ მუცლად იღე და უხრწნელად ჰშევ, რომლისათვისცა გადიდებთ შენ და გიგალობთ, ქალწულო, ვითარცა ყოველთა მეუფისა პალატსა და სოფლისა შემწესა.

#### შემდგომად სადიდებელისა წარდგომა. ქმად 8

სიბრძნე

სიჩჩოთგან განწმედილ-იქმენ შენ, მარადის ქსენებულო ღირსო მამაო, ვითარცა ჭეშმარიტად განათლებული, და ქუეყანასა ზედა, ვითარცა ანგელოზი იქცეოდი, რამეთუ ქორცნი მოაკუდინე მოღუაწებითა და საღმრთომთა შენითა სამებისა წმიდისა სათონდ გამოშჩნდი, რომლისათვისცა გუნდსა მონაზონთასა შეერთე და საწუთოთა შეებათაგან სიმაღლედ აღიყუანენ ერნი მორწმუნეთანი, ღმერთშემოსილო გრიგოლ,

ეპულრე ქრისტესა დმტკრთსა ცოდვათა მოტებებისა მონიშებად, სურვილით პატივის-მცემელთა კსენებისა შენისასა.

## 2-გზის

დიდებად მამასა და ძისა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

თანა დაუსაბამო სიტყუად მამისად, შენგან მიიღებს დასაბამსა ბუნებისა ჩუენისასა, ღმრთისმშობლო, და უჟამო შემოვალს უამსა შინა და სიტყუად განზრქებოდის, ხოლო მს ღმრთისად ძედ შენდა იწოდების. ეპა, მიუწვოთმელი ესე საიდუმლო, იესუ ქრისტე გუშინ და დღეს, და იგი თავადი არს უკუნისამდე.

## აღსავალი, ანტიფონი 1. ქმად 4

სიყრმით ჩემითგან ფრიად მბრძვანან მე არაწმიდანი ვნებანი, ამისთუ გევედრები: შემწე-მეყავ და მიქსენ სახიერ.

რომელთა გძულო სიონი, სირცხულეულ-იქმნენით უფლისა მიერ, და ვითარცა გან ქმული თივად შეგჭამნესთ გეენიამან.

დიდებად მამასა და ძისა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სულისა მიერ წმიდისა ყოველი სული ცყოველ-იქმნების და სიწმიდით ამაღლდების და განპპრწყინდების სამებისა მიერ ერთ-არსებისა, ღმრთივშუენიერად და საიდუმლოდ.

## წარდგომამ, ქმად 7

პატიოსან-არს წინაშე უფლისა სიკუდილი წმიდათა მისთა.

მუხლი. რად მივაგო უფალსა ყოვლისავეთკს, რომელი ესე მომაგო მე.

ყოველი სული... სახარება ლუკასი, თავი 6. მუხლი 17. (მას უამსა შინა, დასდგა იესუ...) დასასრული მუხლი 23. (მრავალ არს ცათა შინა...)

შემდგომად 50-ე ფსალმუნისა დასდებელი.

თვით-კმოვანი. ქმად 6.

ყოველსა ქუეყანასა განხდა ქმად წარმართებისა შენისად, ღმრთივგანპპრძნობილო მამაო, ამისთუ ზეცათა შინა პპოვე სასყიდელი შრომათა შენთამ, და ეშმაკთა გუნდი წარსწყმიდე და ანგელოზთა წესსა მიიწიე, რომელთა უბიწოდთა ცხორებითა სწორ-იქმენ, წმიდაო გრიგოლ, კადნიერებად გაქუს წინაშე ღმრთისა, მშკდობად ითხოვე სულთა ჩუენთათუს.

## კანონი ღმრთისმშობლისა. მუხლი 6

სექტემბრის 28-ს ითიე

## კანონი ღირსისა, მუხლი 8. ქმად 1

### გალობა 1, უგალობდითსა

**ძლისპირი:** სასწაულითა იქსნა ერი უფალმან და ზღუად მღელვარს სიტყუთ განაკმო პირველ, და დღეს უხრწნელად იშუა ქლწულისაგან და წარმიძლუა ჩუენ ზეცად ბუნებით სწორი მამისა თანა, რომელსა უგალობდეთ.

აღაკვენ თუალნი სულისა ჩუენისანი განცდად ბრწყინვალებასა მადლთა შენთასა, ღირსო მამაო, ხოლო ორღანო ენისად აღძარ დიდებად შენდა, რამთა ჯეროვნად გიგალობდე შენ, გრიგოლ, სიქადულო მამათაო.

ხატებად საღმრთო სიჩრომათგან დაიმარხე ტრფიალებითა ჩუენთვის ჩჩილ-ქმნულისათა, იწყლა რად გული შენი, ღმერთშემოსილო მამაო, და პასაკისა თანა აღმდლდებოდე ძალითი ძალად სულისა სრულებითა.

აღმრვად ვნებათად სიყრმითგანვე დასთრგუხე ფერქთა მათ ქუეშე სულისათა, ნეტარო მამაო, და სიტყბოებად საცნობელოთა ძლიიქნელი, ყოვლად არა დაგიტება მოლოდებითა წარუალთა მათ ტებილთა საშუებელთათა, წმიდაო გრიგოლ.

დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

დასაბამი სიბრძნისად მოიგე, დასაბამსავე სიყრმისა შენისასა, ღირსო მამაო, და შიშსა უფლისასა შემსჭვალენ შენ კორცნი, წმიდაო გრიგოლ, და მიერ აღიწიე სიყუარულსა მას უშიშსა წმიდათასა და მადლითა ღმრთისათა განპპრწყინდა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სული ჩემი დაცემული მრავალთა სალმობათაგან, შ, ღმრთისმშობელო ყოვლადდიდებულო, განპკურნე, რამთა მადლობისა ქმითა წადიერებით გადიდებდე შენ, მარადის.

### გალობა 3, განძლიერდასა

**ძლისპირი:** ღმერთო, მოხედებ მონათა გალობასა და დამდაბლე სიძალლშ მაცურისად და ზესთა აღამაღლე დღეს ეკლესია, და შეუშფოთებელად დაამტკიცენი მოსავნი შენი მართლმადიდებლობასა.

უსხეულოთა გუნდსა თანა აღმაღლდი, რაჟამს შრომათა ღუაწლი უტლ-უყავ სულსა და აღიწიე საქმითა ხედვათა მიმართ მაღალთა, სანატრელო მამაო, და უხილავთა ხილვად ღირს იქმენ, წმიდაო გრიგოლ.

ქარად სულისა ცეკველისა გამოშჩნდი, მორთულ ძალთაგან სულისათა, ღირსო მამაო, და გამოპბრუნვინდი ვარსკულავად უდაბნოსა და სიტყუათა საუნჯშ, ვითარცა ოქოოდ დააუნჯე შენ ღმრთისა ეკლესიასა, ნეტარო გრიგოლ.

მარხვითა ქორცნი შეზღუდენ, სანატრელო, და ვნებათა აღმრვანი მოაკუდინენ ლოცვითა და მღვიძარებითა, რომლისათუსცა სულისა წმიდასა ძალმან დაიმკუდრა შენ თანა და მნათობად ცისკიდეთა გამოგაჩინა.

**დიღებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.**

რტო ნაყოფიერი იქმენ შენ, ღმერთშემოსილო, აღმოცენებულ ძირთაგან ღმრთისმსახურთა, და-რად-ენერგე თანა წარსადინელსა საღმრთოთა წერილთასა, და გამოიღე ნაყოფად ტკბილად გულის-ქმის-ყოფად მათი.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

წინავსწარ გიხილა შენ, ბჭყად ნათლისად ეზეკიელ, რომელი განვლო მეუფემან, ვითარცა უწყის, ქალწულო უხრწელო, ამისთვის გევედრები მე, განმიხუენ სინაულისა ბჭყნი მიმყვანებელნი სასუფეველად.

### წარდგომა

განაბრწყინვე უამნი შენი, სანატრელო, უდაბნოსა შინა ძლიერად მოღუაწებითა, რომლითა მიეახლე ბრწყინვალებასა საღმრთოსა, მამაო გრიგოლ, და მოტევებად ცოდვათა ჩუენთა ურიცხვთად ქრისტეს მიერ გუთხოვე მედლესასწაულეთა ქსენებისა შენისათა.

### გალობა 4, უფალო მესმასა

**ძლისპირი:** პირველ აუწყა წინამსწარმეტყუელებით ცხორებად კაცთა ამბაკუშ და იტყოდა: რისხვასა შინა მოვიკენი წყალობამ, ჩრდილომთ მაღნართათ მო-რად-ზუედ შენ, მაცხოარ, ერისა ამის სიტყუად დამბადებელი.

არა დაპფარნა ღმერთმა შრომანი შენი, არამედ ნიშთა და სასწაულთა მიერ განპსონებული ბრწყინვალებად მოღუაწებათა შენთამ, და ყოველთა შორის საწადელ-ყო სიტყუად და ხილვად შენი, ღმრთივსანატრელო.

იწურთიდ სიყრმითგან წიგნთა ღმრთივსულიერთა და აღიწიე თავსა სრულებათასა, რაჟამს გონებად წმიდა-ყავ ვნებათაგან და სიწმიდითა სულისა შენისამთა ექმენ სავანე სულსა ყოველად წმიდასა.

იქმენ, ნეტარო, მიმსგავსებული ღმრთისა, მამაო ობოლთა და საზრდელი მშიერთა, სამოსელი შიშველთა და უღონოთა, და მკურნალ სენთა სნეულებისა, მამაო გრიგოლ.

**დიღებად მამასა და ძისა და წმიდასა სულსა.**

ღმაპრად ბრწყინვალედ მყოფთათუს სოფლისათა გამოგაბრწყინვა ნათელმან მამისამან, და ელვარებად სათხოებათა შენთამ მითფინე ცისკიდეთა, ვითარცა მისისა შარავანდედი, ღირსო მამაო.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

ქალწულმან ჰშევ და დედობრივ არა განიხრწენ, არამედ დედა იქმენ, და ქალწულადვე ჰგიე, რომლისათუსცა გიგალობთ, გიხაროდენ, ღმრთისმშობელო.

### გალობა 5, ღამითვანსა

**ძლისპირი:** საცორთა ბნელთა ღამისათა შენდობად მოხვედი შენ, ქრისტე, ამსთობილი შევსწირავთ შენდა გალობასა, ვითარცა ღირს-ხარ, რამთა წარმიძღუენ გზასა მშკდობისასა, შესულად სასუფეველსა, რომელ აღმითქუ ჩუენ.

ვითარცა გარსებულავი გამოპბრტყინდი უდაბნოსა შინა და ორმელნი სარწმუნოებით მოივლტან შენდა მსწრაფლ შეეწევი მათ, ამისთვის გნატრით შენ, და ვითარცა მქურვალესა შუამდგომელსა გალობით გადიდებთ.

ქველისმოქმედმან, ყოველთა მწყალობელმან, მოგცა სიმდიდრედ ნათესავსა შენსა, ხოლო პირსა შენსა მოსცა სული ცხკოველი, მსგავსად წმიდათა მოწაფეთა თჯსთა და გყო შენ მეათცამეტედ მოციქულად.

წყარო სულისა წმიდისად გულსა შინა შენსა მოიგე, საიდუმლო სიბრძნისა და მადლისა სიმდიდრითა აღვსებულმან, ჭ, სამგზის სანატრელო მამაო, პატივისმცემელი შენი იქსენ განსაცდელთაგან.

**დიდებამ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.**

ეტრიუალე შენ სიბრძნესა, უდაბნოსმოყუარეო, და შეიყუარე იგი უფრო ს ყოვლისა, რომლისათვის განისუენა შენ თანა, და ბაგეთა შენთა მიერ წყარო მადლისად აღმოაცენა თაფლისა უტკბილესი.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.**

წმიდა-ყო ღმერთმა საშოო შენი ყოვლადწმიდა, სძალო, სიწმიდით რამ დაემკუდრა მას შინა, და ჯუარსა ზედა ამაღლებულმან დაბადებული აღამაღლნა მისთანა.

## გალობა 6, ღაღადყავსა

**ძლისპირი:** შთახდა იონა სიღრმესა მას ზღუსასა და ღაღადყებდა ღმრთისა მიმართ ვედრებით: აღმომიყვანე ღანთქმისაგან, უფალო, ხოლო მე, ქრისტე, შენდა მიმართ ვღაღადებ: უგულებელს-ჰყავ ბრალთა ჩემთა სიმრავლეს.

ოდეს ბოროტი მტერი ეკლესისად მოკულასა შენსა ქადოდა და ხანძთისა იავარ-ყოფასა, ცეცხლმან შურისა უფლისამან აღაზნა გონებად შენი, ღმერთშემოსილო, და ლოცვითა შენითა უტყვე-ყავ პირი მისი მგმობარი ღმრთისად, და სრულიად წარსწყმიდე.

დიდო მეუდაბნოეო, კლარვეთისა დიდებულთა უდაბნოთაო, აწცა ნუ დაიღუმებ მოღუაწებასა ჩუენთუს ქრისტის მიმართ, რამეთუ ყოვლადვე ძალგიძს შეწევნად ყოველთამ, რომელნი ლოცვათა შენთა ესუენ და მეოხებასა შენსა მოივლტან.

სიწმიდისა გურგუნითა, ვითარცა ღუაწლისა მბლტ, გურგუნოსან-გყო ქრისტემან მეუფემან, სანატრელო მამაო გრიგოლ, და წმიდა თავი შენი სამკაულითა თვალთშეუდეგამითა განაშენა.

**დიდებამ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.**

ვნებათა დაფარულისა და ცხადთა მკიდომისა ძლიერად მბრძოლო, გრიგოლ სანატრელო, კადინირებამ გაქუს ღმრთისა მიმართ, ითხოვე შეწევნამ, რამთა განვერნეთ მტერსა სულთა ჩუენთასა.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

ახლად ყრმად გუშევ ჩენ უწინარესი საუკუნეთა უჟამოდ, მამისა თანა მოსაყდრე, ღმრთისმშობელო, რომელმან ჯუარისა მიერ ცოდუთა დაძუელებული კაცი განაახლნა და ღმრთებასა იზიარნა.

## ქონდაკი

უღელი იგი ქრისტისი მიიღე, ღმერთშემოსილო მამაო გრიგოლ, და მხართა შენთა ზედა იტკრთე ჯუარი მისი, ვნებათა მისთა საღმრთოთა საწერტელად ყოვლადწმიდად კორცთა შინა შენთა მტკრთველმან, რომლისათვის საღმრთომასა დიდებისა მისისა ზიარად გამოშჩნდი, მომგებელი ჯილდოდ ღირსებისა მოსაგებელსა.

## იკოსი

ძირთაგან კეთილთა აღმოსცენდა-რამ ნაყოფი შუენიერი, სიჩოვთგანვე ღმერთშემოსილი მადლითა აღიზარდა, უფრო ს ვიდრელა სძითა, და დაუმორჩილნა კორცნი მოკუდავნი სულსა უკუდავსა და იღუაწა ვიდრე სიკუდილადმდე, და გან-რამ-ვიდა სოფლით, დიდებით მამათა კრებულსა თანა აღირაცხა და მეოხ-არს ჩუენთუს, რომელნი ვადიდებთ საქსენებელსა მისსა ყოვლადგანათლებულსა.

## გალობა 7, კურთხეულარსა

**ძლისპირი:** სიყუარულითა ყოველთა მკინელისადთა არად შეპრაცხეს ყრმათა რისხვად მდლავრისა ღმრთის მოძულისად, და ცეცხლსა შეთხეულნი არა შეიწუხეს და ესრტ ღაღადებდეს: მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ-ხარ შენ.

დღესასწაულობს ერთი შენი, ნეტარო, ქსენებასა შენსა და ლალადებს შენდა მომართ: მოგუხედენ, ჭ, მამაო სანატრელო, ზეცით-გარდამო და გუვსნენ სოფლისა ღელვათაგან დაუნთქმელად, რომელთა ესე გუასწავე გალობად: მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ-ხარ შენ.

შეურაცხ-ყავ ყოველივე ამაოქამ სოფლისამ, ღირსად დიდებულო, და ვითარცა თიხამ დასორგუნ ცუდი დიდებამ, და სიგლახაკისა მიერ სიძლიდრშ დაულევნელი სასუჯეველისამ პპოვე ზეცათა შინა, მარადის მგალობელმან: მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ-ხარ შენ.

გიხაროდენ, ღმრთისმეტყულებისა წმიდასა წყაროო, და სიბრძნისმოყუარებისა აღმომდინარეო ფიალო, ყოვლადბრძნენ, ღიდო მთიებო ყოვლისა სოფლისაო, რომელმან ასწავე ყოველთა გალობამ ესრეთ: მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ-ხარ შენ.

#### დიდებამ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ეშმაკთა გუნდი აღსჭრენ, ღმერთშემოსილო, ვითარცა ახოვანმან მჯედარმან მაცხოვრისამან შრომათა მაკულითა, და დასწუნ ცეცხლებრ ბანაკნი მათნი საქუმილითა ლოცუათა შენთავთა: მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ-ხარ შენ.

#### აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მადლსა ლოცვისა შენისასა, წმიდაო, ვიქადებთ პირითა და სულითა, ღიდებულო, რამეთუ შენ მიერ განსაცდელთაგან და ღელვათა, და მძიმეთა ურვათა, და ცოდვისა ვნებათაგან ვიქსნებით ყოველნი.

#### გალობა 8, აკურთხევდითსა

**ძლისპირი:** ყრმანი ბაბილონს შეუწეველნი პირველად სახე გექმნეს შენ, ქალწულო ღიდებულო, რაუამს შენგან იშუა ცეცხლი ღმრთებისამ და დაგიცვა შენ უცნებელად, უბიწოდ, ყოველი ერი მარადის გაკურთხევს შენ.

ჩვეულებისა თჯისაებრ აღეგზნა ეშმაკი წყობად შენდა, ღმერთშემოსილო, რამეთუ ეპოვა მას ჭურჭელი სიცრუისამ, ვითარცა პირველ იუდა მიმცემელი, და განეწონა მასვე მაკული თჯის.

იხილა ყოვლად საწყალობელმან, განჩემებულმან ეშმაკისა სადგურმან სუეტი ნათლისამ და ჯუარი თუალთშეუდგამი გარემოს შენსა, ღირსო მამაო, შეძრწუნდა ფრიად და დახსნდეს ძარღვუნი მკლავთა მისთანი.

შეიწყალე, წმიდაო, განწირული მეულელი შენი და მიემსგავე ქრისტესა, განკურნერად ტირილით შევრდომილი შენდა და განუტევე მშკლობით, რამეთუ შენ ხარ შემწე მონანულთა, რომელი აკურთხევენ ქრისტესა და ამაღლებენ მას უკუნისამდე.

#### ვაკურთხევთ მამასა და ძესა და წმიდასა, სულსა უფალსა.

შემოკრბა-რად გუნდი წმიდათა მამათამ მიცუალებასა შენსა, სანატრელო, სიხარულითა აღივსე ხილვითა მათითა, და აკურთხე ყოველი, და სარწმუნოდ და ცხადად ასწავე გალობამ ესრეთ: აკურთხევდით ყოველნი საქმენი უფალსა და ამაღლებდით მას უკუნისამდე.

#### აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

იქსენ კაცობრივი ბუნებამ წყვევისაგან შობითა, ქალწულო უბიწოო, რამეთუ შევ შხოლო კურთხეული, მაკურთხეველი ჩუენი, აღმავსებელი მადლითა ცათა და ქუეყანისა.

ვაქებთ, ვაკურთხევთ, თაყუანის-ვსცემთ უფალსა, უგალობთ და აღუამაღლებთ მას უკუნისამდე.

#### გალობა 9, ადიდებდითსა

**ძლისპირი:** ჯერ-არს ღუმილი, ვინაოთგან ვერ შეუძლებთ ღირსებით ქებად შენდა დღეს, ღმრთისმშობელო, ხოლო არავე დაგდემნეთ შიშისათჯს, არამედ მსგავსად უძლურებისა ჩუენისა, შევსწიროთ შესტმამ, რომლითა გადიდოთ შენ.

ზეციურ ძალთაგან გესმა ტმამ სანატრელი, მსახურო ღმრთისა მაღლისაო, რამეთუ ქუეყანისა ანგელოზსა და კაცსა ზეცისასა გიწოდდა მეუფე ცათამ ქრისტე, და მიხუედ სიხარულით და უფლისა თანა იხარებ საუკუნოდ.

პატიოსანთა საკმეველთა კეთილ-სულნელებამან აღავსო საყუდელი შენი, ღირსო მამაო, და მხიარულებით ანგელოზთა კრებულმან შეიწყნარა სული შენი უბიწოო, რომელთა შორის იშუებ, ღმერთშემოსილო.

ვერ შემძლებელ-არს ენად კაცობრივი მითხრობად დუაწლთა შენთა, წმიდაო სათნო ღმრთისაო, რამეთუ განვლე სოფელი ესე ღირსად, დიდებულო, და აწ შუებასა სამოთხისასა შეერთებული, ანგელოზთა თანა იხარებ, და ჰსუფევ ქრისტის თანა უბუნისამდე.

**დიდებამ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.**

ითხოვე, ღირსო, ყოვლისა სოფლისათჯ მშკდობით დაცვად და ერსა ჩუენსა – ძლევამ და დამტკიცებამ მართლმადიდებლობისამ ქრისტის ღმრთისაგან, და სულთა ჩუენთა უხუად დიდი წყალობამ.

**აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

იტკროავ უკვე მტკრთველსა ყოველთასა წმიდათა მიერ კელთა შენთა, რომელსა ვვალრე, წმიდაო, უცხომსაგან ბოროტის მოქმედებისა უვნებელად ცხორებად ჩუენდა.

### განმანათლებელი

გამოსჩნდი შენ, ვითარცა სახც ბრწყინვალს და შეიწყნარე სული წმიდამ, ღირსო მამაო, რომლისა მიერ თუალნი სულისანი ხილვითა საღმრთოოთა განაპრწყინვენ, და განათლებული ხედევდი რამ მომავალთა, ყოვლისა ყოფადმდე იტყოდი უბიწოებითა საღმრთოოთა, ხოლო აწ მეოხ-გუეყავ წინაშე ღმრთისა, წმიდაო გრიგოლ.

### (2-გზის)

**დიდებამ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.**

ღმრთისმობლად ჭეშმარიტად აღგიარებთ შენ, დედოფალო, შენ მიერ ცხოვნებულნი, რამეთუ ღმერთი ჰშევ გამოუთქმელად დამქსნელ ჯურითა სიკუდილისა და თუსდა მიმართ მიმზიდველი ღირსთა კრებულისა, რომლისა თანა გაქებთ შენ, ქალწულო.

### აქებდითსა ზედა დასდებელი. მუხლი 4. ქმად 8

შ, სასწაული

ღმერთშემოსილო მამაო, წმიდაო გრიგოლ, შენ უდელი ქრისტისი აღიღე ქედსა ზედა, და ახოვებითა ზედა დასხმანი მტერთანი შეკმუსრენ და უდაბნონი ქალაქად გამოაჩინენ, ამისთჯ გნატრით შენ და სარწმუნოებითა გიღაღადებთ: შ, მშეენიერო კლარჯეთისა დიდებაო, შენ ქრისტემან მკუდრ-გყო უსხეულოთა თანა, მეოხ-გუეყავ ჩუენ.

### 2-გზის

ღმერთშემოსილო მამაო, წმიდაო გრიგოლ, სარწმუნოებით შემოკრებულნი ქართველნი, ვითარცა მოღუაწესა დიდსა პატივს-გცემთ შენ, და სარწმუნოებითა გიღაღადებთ: შ, წმიდასა ანტონს მიმსავსებულო მუდაბნოეო, რომელი სიხარულითა განხუედ უდაბნოდ უალად, და მეტა-წილ დაამკუდრენ კაცნი ანგელოზთა სწორნი, მეოხ-გუეყავ წინაშე ღმრთისა, რამთა გუაცხოვნეს ჩუენ.

ღმერთშემოსილო მამაო, წმიდაო გრიგოლ, გამოშჩნდი შენ კანონ მონაზონთა და სიქმდულ მართლმადიდებელთა, დამატებობელ და ბრწყინვალე მნათობ ყოვლისა სოფლისა და უძლეურთა უგამოცდილეს და პატიოსან მკურნალ, რამეთუ არა შეშინდი შიშისაგან მაცოტურისა მტერისა და მშვილდინი და ისარნი ეშმაკთანი შემუსრენ და მძრნვარენი საფრგნი მათნი მოაუძლურენ საღმრთოოთა სწავლითა შენითა. შ, ნიჭთა შენთა მოცემულთა, ნეტარო, რომლისა მიერ ბოროტთა ეშმაკთა არცვინე და განაპრწყინვენ დიდებამ ქრისტისი.

**დიდებამ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.**

ქმად 5

დავბეროთ საყურსა გალობათასა და განვსცხოებოდეთ და ვიშუებდეთ მოხარულნი ყოვლადწმიდასა შინა დღესასწაულსა ყოვლადქებულისა მოძღურისა ჩუენისასა. შემოკრბით შ, მორწმუნენო ქართველნო და შეს ქმთა სულიერითა შევამკობდეთ და ვაქებდეთ სანატრელსა მამასა ჩუენსა, ვითარცა სწავლისა მდინარეთა აღმომდენთა ჩუენდა და უგალობდეთ: უძლეურნი – სენთა მკურნალისა, ხოლო ჭირვეულნი – მქსნელისა, შეცოდებულნი – მკურვალესა მეოხსა, მწუხარენი – განმაცხობელსა და მავალნი – მოგზაურსა, მენავენი – მმართებელსა და ყოველნი ყოვლით კერძო, ყოველთავე სასოსა სარწმუნოებით ვაღიღებდეთ და ვიტყოდეთ: მეოხ-გუეყავ, ღმერთშემოსილო გრიგოლ, რამთა ლოცვათა შენთა მიერითა შეგვჭურნეს

ჩუენ უფალმან ღმერთმან ბალითა თკითა უძლეველითა, ყოველთა ხილულთა და უხილავთა მტერთა ჩუენთა ზედა და გუაცხოვნეს ჩუენ.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ღმრთისმმობლისა, ღმეტრე ქართველთა მეფისა,  
ბაგრატოვანისა.

ღმრთისმმობელი და ყოვლადპატიოსანი,  
დედად ქალწული, შუენიერი შროშანი,  
მას ახარებდა ანგელოზი ფრთოსანი,  
შენგან იშუების, მეფის გურგუნოსანი  
და მას ჰმონებენ მეფენი მრავალყმოსანი.

დიდებად მაღალი გრძლად და განტევებად.

**ლიტურღიასა ზედა:** მომიქსენენი კანონისაგან ღირსისა, გალობა 3 და 6.

წარდგომა, ქმად 7. პატიოსან-არს წინაშე უფლისა სიკუდილი წმიდათა მისთა.

მუხლი. რამ მივაგო უფალისა ყოვლისავეთუკს, რომელი ესე მომაგო მე.

სამოციქულო I კორინთელთა, თავი 12, მუხლი 7. (ძმანო, თითოეულსა ჩუენსა...)  
დასასრული, მუხლი 12. (კაცად-კაცადსა ვითარცა ჰწებავს...)

ალილუია, ქმად 6. ნეტარ-არს კაცი, რომელსა ეშინის უფლისა.

მუხლი. ძლიერ იყოს ქუეყანასა ზედა ნათესავი მისი.

სახარება მათესი, თავი 11, მუხლი 27. (პრქუა უფალმან თკითა მოწაფეთა...)  
დასასრული, თავი 12, მუხლი 1. (ტკრთი ჩემი სუბუქ-არს...)

განიცადე: საქსენებელად საუკუნოდ.

შეადგინა: თინათინ მჭედლიშვილმა